2025 წლის 11 სექტემბერს შპს „პაბინვესტის” (ს/კ 404582652, რეგისტრაციის ნომერი სგს-0120207) მიმართ გამოყენებული ჯარიმის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკითხის განახლება: 10 ოქტომბერი 2025 წელი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2025 წლის 11 სექტემბერს „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული ცალკეული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 18 აპრილის №99/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა სესხის გამცემი სუბიექტი შპს „პაბინვესტის” (ს/კ 404582652, რეგისტრაციის ნომერი სგს-0120207) მიმართ დაკისრებული ფულადი ჯარიმის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 17 თებერვლის №14/04 ბრძანებით დამტკიცებული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევებისთვის (ოთხი შემთხვევა) სესხის გამცემ სუბიექტ შპს „პაბინვესტს“ დაეკისრა ფულადი ჯარიმა.

ზემოაღნიშნული ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 2025 წლის 25 სექტემბერს სესხის გამცემი სუბიექტი შპს „პაბინვესტის“ მიერ გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.